CURRICULUM VITAE

გვარი: კაჭარავა

სახელი: ნანული

სამუშაო ადგილი : თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თურქოლოგიის დეპარტამენტი

მისამართი: თბილისი. დიდი დიღომი. იოანე პეტრიწის ქ. 4/11
ელ. ფოსტა: nanulikacharava@gmail.com, nanuli.katcharava@tsu.ge

სამსახურებრივი გამოცდილება, პროფესიული საქმიანობა

2005-დღემდე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის დეპარტამენტის თურქული ენის მასწავლებელი, ქართული ენის მასწავლებელი (თურქი და აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის)

2015-2017 - თურქეთში დუზჯეს უნივერსიტეტის კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების მიწვეული პედაგოგი

1996-2005 - თურქეთში ანკარის ბილქენთის უნივერსიტეტის მუსიკისა და სასცენო ხელოვნების ფაკულტეტის პედაგოგ-თარჯიმანი

1990-1997 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქული ენის კათედრის პედაგოგი

1982-1989 - ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების სამმართველოს მთარგმნელი (თურქული და რუსული ენები)

1981-1982 - თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, ქართული ენის მასწავლებელი

სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური წოდება და გამოქვეყნებული შრომები

(გამოქვეყნებული შრომების სია, შესაძლებელი მიეთითოს დანართის სახით)

ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (№ 005666)

(გამოქვეყნებული შრომების სია, იხ. დანართი 1)

განათლება/ტრენინგი

განათლება

1976-1981 - თსუ, აღმოსავლეთმცოდნეობა, თურქული ენისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თარჯიმანი

1978-1980 - თსუ, ხელოვნებათმცოდნეობის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნე

2006 წლის 15 სექტემბერი - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, № 005666

ტრენინგი

2008 წლის 14 ივლისი-8 აგვისტო - თურქული ენის სწავლება, თურქული კულტურისა და ეროვნული განათლების სისტემის გაცნობის მიზნით ჩატარებული სემინარი, სტამბოლი

2003-2005 სასწ.წ. - ბილქენთის უნივერსიტეტის თანამშრომელთა ინგლისური ენის კურსები, ანკარა

1995-1996 სასწ.წ. - ანკარის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის,ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტი, მეცნიერ-თანამშრომლის სტატუსით კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამა

მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებში

2017 წლის 12-14 მაისი - „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანები, შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების თაოსნობით, დუზჯე/თურქეთი

2016 წლის 13-15 მაისი - ბეჟან ხორავას წიგნი „ჩერქეზეთი“, ადიღეური ენის გრამატიკის ავტორების, გიორგი როგავასა და ზეინაბ ჭერაშევას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა დუზჯეს უნივერსიტეტის ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის მიმართულების თაოსნობით, დუზჯე/თურქეთი

2015 წლის 25-27 მაისი - ქართული ენის სწავლა და სწავლება თურქეთში, I საერთაშორისო კონფერენცია უცხოენის სწავლება თურქეთში, ჰაჯი ბექთაშის სახ. უნივერსიტეტი, ნევშეჰირი, კაბადოკია, თურქეთი

2015 წლის 28-29 მაისი - თურქული კალკები დუზჯელ ქართველთა მეტყველებაში, საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ქართველოლოგიური ცენტრის მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “თურქეთელი ქართველები, ისტორია და პერსპექტივები,“ თბილისი

2015 წლის 22-23 ივნისი - აკაკი წერეთლის “სულიკო“ და „ბაში-აჩუკი“ თურქულად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი.

2015 წლის 10-11 ივლისი - ტოპონიმ „ოჩამჩირეს“ წარმომავლობისათვის, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში ,,ახალციხე-2015.“ ჩატარდა სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი ძალისხმევით, ახალციხე, რაბათი.

2015 წლის დეკემბერი - თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები, წერილი პირველი, ქართველი პოეტი და მწერალი აკაკი წერეთელი თურქულად, დუზჯე: ისტორია და კულტურა, დუზჯეს უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, დუზჯე/თურქეთი

2014 წლის ნოემბერი - თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები განათლებისა და კულტურის სფეროში, დუზჯე: ისტორია და კულტურა, დუზჯე

2013 წლის ივნისი - ადალეთ აღაოღლუ და მისი პიესები, აღმოსავლეთმცოდნეთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, ქუთაისი

2012 წლის აპრილი - „კეთილშობილი ხალხი“ ოსმალეთში, საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“, თბილისი

2012 წლის 28 აპრილი - გურჯები ოსმალეთში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო სესია, თბილისი

2012 წლის ივნისი - მიმიკისა და ჟესტების ენა თურქულ კულტურაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოველწლიური კონფერენცია მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბილისი

2012 წლის 24-28 სექტემბერი - ზოგიერთი აღმოსავლური წარმოშობის ნასესხობისათვის ქართულში (ლუიზა რუხაძესთან ერთად), მე-7 საერთაშორისო თურქული ენის ყურულთაი /სიმ პოზიუმი, ანკარა

2012 წლის დეკემბერი - შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შუშანა ფუტკარაძის 70 წლის იუბილესადმი, შუშანა ფუტკარაძის წიგნის "სტამბოლის ქართული სავანე" და მისი თურქული ვერსიის რედაქტორი და დუზჯეს უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, პრეზენტატორი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

2011 წლის ოქტომბერი - სწავლება თარგმანის საშუალებით, თარგმანთმცოდნეობა და ტერმინთმცოდნეობა, ქირიქქალეს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქირიქქალე, თურქეთი

2010 წლის 1-2 მაისი - 'ბანჯარ' სიტყვის ეტიმოლოგიისათვის (ა. ბაღიშვილთან თანაავტორობით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 'დიდაჭარობა', დიდაჭარა – ხიჭაური

2010 წლის 6-7 მაისი -სტამბოლი ქართულ ლიტერატურაში, I საერთაშორისო სიმპოზიუმი 'სტამბოლი მსოფლიო ლიტერატურაში', ბეიქენთის უნივერსიტეტისა და სტამბოლის ფათიჰის რაიონის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენცია, სტამბოლი

2010 წლის ივნისი - სტამბოლი თანამედროვე ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ არეალში, ალექსი ლეკიაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი

2010 წლის 20-24 სექტემბერი - 1775-1779 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთის დიპლომატიური ურთიერთობები ერეკლე მეფესა და სამხრეთ კავკასიის სახანოებთან (მ. სვანიძესთან ერთად), თურქული საისტორიო საზოგადოების მიერ ორგანიზებული მე-16 საერთაშორისო კონგრესი, ანკარა

2010 წლის 30სექტემბერი -2 ოქტომბერი - ორიენტალიზმები თედო სახოკიას წიგნის "მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი)" მიხედვით (ა. ბაღიშვილთან ერთად), საერთაშორისო კონფერენცია 'ტბელობა', ხიჭაური-დიდაჭარა

2009 წლის 6-10 ოქტომბერი - ქართული კულტურის კერა სტამბოლში (პროფ. მ. სვანიძესთან თანაავტორობით), ათათურქის სახ.კულტურის ცენტრის VII საერთაშორისო კონფერენცია "სტამბოლი თურქულ და მსოფლიო კულტურაში", ანკარა

2009 წლის 30 ოქტომბერი – 2ნოემბერი, შურულუბუმობა (ა. ბაღიშვილთან თანაავტორობით), წმ. ტბელ აბუსერისძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ტბეთი-სხალთა-ხიჭაური

2009 წლის 2-3 ოქტომბერი - თურქიზმები ქართლურ დიალექტში (ლუიზა რუხაძესთან ერთად), გორის უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი

2009 წლის 26-30 სექტემბერი - ბერძნიზმები მეგრულში (ალინა ბაღიშვილთან ერთად), ბიზანტიონოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი-ახალციხე

2009 წლის 26-27 ივნისი - თურქიზმები მეგრულში (ა. ბაღიშვილთან თანაავტორობით), სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ახალციხე

2009 წლის 15-18 ივნისი - ორჰან ფამუქი და მისი ნაწარმოებები ქართულად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 'გრიგოლ კიკნაძე – 100', საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი

2009 წლის 21-23 მაისი - ქართული ენის დიალექტებში თურქული ენის კილოებიდან შესული ზოგიერთი ნასესხობის შესახებ (ლ.რუხაძესთან თანაავტორობით), თურქ ლინგვისტთა საზოგადოებისა (ანკარა) და ყარსის კავკასიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია-ტრენინგი 'ანატოლიური თურქულის დიალექტები', ყარსი

2009 წლის 16-17 აპრილი - თურქული ენა საქართველოში, თურქ ლინგვისტთა საზოგადოებისა (ანკარა) და ქირიქქალეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სიმპოზიუმი 'მასობრივ საინფორმაციო საშუალებების მიერ თურქული ენის გამოყენება', ქირიქქალე, თურქეთი

2009 წლის 5-6 მარტი - საერთო აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკა თანამედროვე თურქულსა და ქართულში (ლ. რუხაძესთან თანაავტორობით), თურქ ლინგვისტთა საზოგადოების (ანკარა), არტაანის გუბერნატორის აპარატისა და არტაანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო ტრენინგი: 'კავკასიაში თურქული ენისა და კულტურის კვალი', არტაანი

2008 წლის 18 დეკემბერი - საერთო ნასესხობები თურქულსა და ქართულში (ლ. რუხაძესთან თანაავტორობით), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკად. ს. ჯიქიას 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი

2008 წლის 20-25 ოქტომბერი - ქართულში თურქულიდან შესული ფრაზეოლოგიური ნასესხობები (ეთერ მამულიასთან თანაავტორობით), თურქული ენის V საერთაშორისო კონგრესი, ანკარა

2008 წლის 19-20 ივნისი - 'baş' (თავი) ლექსემის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები (კომპოზიცია), აღმოსავლეთმცოდნეთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

2008 წლის 12 ივნისი - ჰალით ოზდემირის მონოგრაფია 'ართვინის ისტორია' (რეცენზია), კონფერენცია სსეფ და რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში თემაზე: 'საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ირან-ოსმალეთის ომების დროს XVI ს.-ში და საქართველო', თბილისი

2008 წლის 10-12 ივნისი - სომატური ლექსიკა თურქულში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილესადმი, თბილისი

2008 წლის 9 - 12 მაისი - თურქული ენის სწავლება საქართველოში (პირადი მიწვევა, გადაიცა ადგილობრივი ტელევიზიით), 731-ე თურქული ენის დღესასწაული და იუნუს ემრეს ხსენების კვირეული, ანკარა, ყარამანი (თურქეთი)

2008 წლის 8 მაისი - ჟურნალი 'მოლა ნასრედინი' და მისი მნიშვნელობა, ჰოჯა ნასრედინის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, აქშეჰირი (კონია), თურქეთი

2007 წლის 12-16 ნოემბერი - საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში მოძიებული დოკუმენტი სივასის ყრილობის შესახებ (პროფ. მ. სვანიძესთან თანაავტორობით), ათათურქისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო კონგრესი, ანკარა

2007 წლის 17-19 ოქტომბერი - რამდენიმე ნასესხები სიტყვის ანალიზისათვის (ლ.რუხაძესთან თანაავტორობით), კონფერენციის მასალები, ბაქო, გვ.356-359, ფოლკლორისტიკის V საერთაშორისო კონფერენცია, ბაქო

2007 წლის 25-27 ივნისი - 'göz' (თვალი) ლექსემის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები (კომპოზიცია), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკად. აკ. შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი

2006 წლის 31 ოქტომბერი –1 ნოემბერი - სომატური ფრაზეოლოგიზმები თურქულში, კომპოზიციის გზით 'el'(ხელი) ლექსემის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები თურქულში, დავით კობიძე – 100, თსუ, თბილისი, გვ. 100-113, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დ. კობიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი

2005 წლის 21-26 ნოემბერი - ჩვენებურების მეტყველებაში თურქული ფრაზეოლოგიზმების კვალი და გავლენა, თურქული კულტურის VI საერთაშორისო კონგრესი, ანკარა

2004 წლის 20-26 სექტემბერი - ფრაზეოლოგიზმები თურქულში საწყისი ლექსემით 'baş', თურქული ენის V საერთაშორისო კონგრესი, ანკარა

2003 წლის 15-17 ივნისი - კორპორალური ლექსიკა თურქულში, აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

სამეცნიერო გრანტებსა და პროგრამებში მონაწილეობა

2006-2008 -საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდი, რუსთაველის ფონდი, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობისინსტიტუტის სამეცნიერო საგრანტო პროექტი თემაზე: 'საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ირან-ოსმალეთის ომების დროს XVI ს.-ში და საქართველო', ძირითადი მონაწილე

სამეცნიერო საზოგადოების, აკადემიების, სამეცნიერო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების და ა.შ. წევრობა

2017 წელი - ვარ საორგანიზაციო და სამეცნიერო საბჭოს წევრი მოხსენებათა კრებულისა, რომელიც მომზადდება შოთა რუსთაველი 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეთა წაკითხული მოხსენებების მიხედვით, კრებული დაიბეჭდება ქართულ და თურქულ ენებზე და გამოიცემა დუზჯეს უნივერსიტეტის მიერ.

2016 წელი - ვარ სამეცნიერო საბჭოს წევრი მოხსენებათა კრებულისა „ადიღეური ფილოლოგია:ენა, ისტორია,ლიტერატურა, კულტურა“,სტამბოლი

2015 წლიდან - ვარ დუზჯეს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრი, DÜSOBED dergi

2012 წლიდან - **Karadeniz - Black sea - Черное море** ვარ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის წევრი, *არტაანის უნივერსიტეტი (თურქეთი)*

2007 წლიდან - ვარ საერთაშორისო თურქულ-ქართული, ორენოვანი ყოველკვარტალური ჟურნალის 'ფიროსმანი' სარედაქციო და მთარგმნელობითი კოლეგიის წევრი; ჟურნალი გამოდიოდა სტამბოლში. ამჟამად მატერიალური გაჭირვების გამო გაჩერებული ვართ მე-12 ნომერზე. ჟურნალის 11-ივე ნომერში 2007 წლიდან მაქვს მხატვრული პუბლიკაციები,მოთხრობებისა და ლექსების თარგმანები.

დამატებითი ინფორმაცია

2015-2017 სასწავლო წელს ვიმუშავე დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების მიწვეულ პედაგოგ-პროფესორად. ეს უკვე მე-4 ქართველოლოგიური კერაა, რომელიც ფუნქციონირებს თურქეთში. წელს გვყავდა პირველი გამოშვება. თურქეთის 4 უნივერსიტეტი (ყარსის, არტაანის, რიზესა და დუზჯეს) იძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების დიპლომებს.

- უფროსი თაობის თურქოლოგ ლუიზა რუხაძესთან ერთად ვამთავრებთ თურქეთის საელჩოს მიერ დაკვეთილი პროექტს: „აღმოსავლური წარმოშობის საერთო ლექსიკა თანამედროვე ქართულსა და თურქულში.“ ჩვენს ლექსიკონს უახლოეს მომავალში წარვუდგენთ თურქ ლინგვისტთა საზოგადოებას (ანკარა). ადვილი შესაძლებელია, ამ პრესტიჟულმა ორგანიზაციამ თავის თავზე აიღოს ამ ნაშრომის გამოცემა.
- დუზჯეს რეგიონი თურქეთში არის კავკასიელი მუჰაჯირების - ჩერქეზების, ქართველების, ლაზების, მეგრელების, აფხაზების - ლოკალური დასახლების ადგილი. ზოგადად ეს მხარე ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი რაიონია, დუზჯეს ვილაიეთში დაახლოებით 24 სხვადასხვა ენა ისმის. ვსარგებლობთ ამ რაიონის ჩვენთვის ხელსაყრელი ეთნოკულტურული და ლინგვისტური სურათით და სოფლებში ვიწერთ რესპოდენტებს, აუდიო და ვიდეო მასალას. ვმუშაობთ დუზჯეს ქართული, ლაზური და მეგრული მეტყველების ნიმუშებზე. ვფიქრობთ, ეს ფრიად საშური საქმეა, რადგან ასაკოვანი მოსახლეობა სოფლებში არცთუ ბევრია შემორჩენილი, ისინი, ვინც, ასე თუ ისე ახერხებენ გამართულად საუბარს - ქართულად და ლაზურად. ვმუშაობ დუზჯეში (თურქეთი) შეგროვილი მასალის - იქაური ეთნიკური ქართველებისა და ლაზების მეტყველების ნიმუშების გაშიფრვა, თემატურ კლასიფიკაციასა და დახარისხებაზე კილოკავების მიხედვით. მომავალში ვგეგმავთ ჩაწერილი მასალის გამოცემას შესაბამისი განმარტებებითა და კომენტარებით.
- ვმუშაობ წიგნზე „სომატური ლექსიკა თურქულში.“
- **ა.წ. მაისის თვეში** დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებამ ჩაატარა შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს თითქმის

ყველა წამყვანმა უნივერსიტეტმა. თსუ-დან მოხსენებები წარმოადგინეს ცნობილმა რუსთველოლოგებმა: პროფ. ელგუჯა ხინთიბიძემ და ასოც.პროფ.ნესტან სულავამ. კონფერენციის მოხსენებათა კრებული დაიბეჭდება ქართულსა და თურქულ ენებზე და გამოიცემა დუზჯეს უნივერსიტეტის მიერ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვიმუშავებ ქართველი მეცნიერების მოხსენებათა თურქულ ენაზე თარგმნასა და რედაქტირებაზე და ასევე თურქ მეცნიერთა მოხსენებების ქართულად თარგმნასა და რედაქტირებაზე.

2016 და 2017 სასწავლო წლების მეორე სემესტრში ჩავატარეთ კონკურსი „ქართული კალიგრაფია“, საკონკურსოდ შარშან სტუდენტებს მიცემული ჰქონდათ აფორიზმები შოთა რუსთაველის ‘ვეფხისტყაოსნიდან’, რადგან 2016 წელი UNESCO-ს მიერ გამოცხადებული იყო შოთა რუსთაველის წლად. შარშანვე იყო დაგეგმილი შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებაც, მაგრამ შარშან ზაფხულში თურქეთში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო თითქმის ყველა ღონისძიება გადაიდო. **2016 წლის აპრილში** ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის წავიკითხე მოხსენება ქართული კალიგრაფიის შესახებ. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტები (პირველი 5 ადგილი) დაჯილდოვდნენ თურქეთში საქართველოს საელჩოს მიერ ჩამოტანილი საჩუქრებით. ანკარაში ჩვენი საელჩოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი გამართულ მიღებაზე წავიღეთ გამოფენა: დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტების ნამუშევრები ქართულ კალიგრაფიაში.

2017 სასწავლო წელს სტუდენტებს საკონკურსო მასალად მიეცათ სტრიქონები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი.“ ამჯერად გამარჯვებულები თვით საქართველოს ელჩმა დააჯილდოვა. **ა.წ. მაისის თვეში** შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ფოიეში გამოფენილი იყო ჩვენი სტუდენტების ქართული კალიგრაფიის ნამუშევრები.

2017 წლის აპრილში ინეგოლის/ბურსა კავკასიის კულტურის ასოციაციის მიწვევით წავიკითხე მოხსენება „14 აპრილი და მისი მნიშვნელობა.“ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში ირაკლი კოპლატაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ჩამოსული სტუმრები პროფ. როლანდ თოფჩიშვილი და ასოც. პროფ. როზეტა გუჯეჯიანი, დუზჯეს უნივერსიტეტის ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის მიმართულების პროფ. მირა ხაჩემიზოვა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ინეგოლის/ბურსა კავკასიის კულტურის ასოციაციის მესვეურები, დამსწრე საზოგადოება.

10.04.2016 სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის მიწვევით დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებსა და პედაგოგებთან ერთად ვიყავით სტამბოლში. „ქართული ენის“ დღესთან დაკავშირებით ნაზიმ ჰიქმეთის სახ. კულტურის სახლში დამსწრე საზოგადოებისათვის წავიკითხე მოხსენება „დედა ენა.“

2014 წლის დეკემბერი - ქართული კულტურის ცენტრის მიწვევით დავესწარი ღონისძიებას, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას ხსოვნას. სტამბოლში დამსწრე საზოგადოებას წავუკითხე მოხსენება „ქართველი პოეტი და მწერალი ვაჟა-ფშაველა.“

2013 - ლუიზა რუხაძის წიგნის ‘თურქიზმები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ’ რეცენზენტი, გამომცემლობა ”მწიგნობარი”, თბილისი.

2012 წლის 20-23 მაისი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ‘ჩერქეზთა გენოციდის აღიარების მოსალოდნელი შედეგები,’ ორგანიზატორები: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტრო, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი, ჯეიმსთაუნის ფონდი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სინქრონ-თარჯიმანი, ჩერქეზული დღეები – ჩერქეზთა გენოციდისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნა, ანაკლია

2012 წლის 5-8 სექტემბერი - მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ტაო-კლარჯეთი". ორგანიზატორი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სინქრონ-თარჯიმანი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

2012 - შუშანა ფუტკარაძის წიგნის 'სტამბოლის ქართული სავანე' თურქული ვერსიის რედაქტორი, „არტანუჯი", თბილისი.

2011 - მერაბ ჩუხუას წიგნის „ვაინახები"თურქული ვერსიის რედაქტორი, "ლიტერა", თბილისი.

2011 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 'თურქული ენა (მეტყველება)' მოკლე კურსი წავუკითხე დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და რეზიდენტებს, რომლებიც მიემგზავრებოდნენ თურქეთის ქალაქების სხვადასხვა საავადმყოფოებში პრაქტიკის გასავლელად.

2010 წლის ნოემბერი - ევროპის კულტურათა დედაქალაქი - სტამბოლი, საფაკულტეტო სემინარი, მომხსენებელი, თსუ,თბილისი

2010 წლის 11-12 დეკემბერი - კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია 'სტრატეგია მშვიდობისათვის - რეგიონალური ინტეგრაციის პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში', მიწვეული, როგორც თურქეთიდან ჩამოსული მწერლის ქევსერ რუჰის (ქეთევან ხანთაძის) მოთხრობათა მთარგმნელი, თბილისი, სასტუმრო რადისონ-ბლუ-ივერია

2007-2008 წწ. - საქართველოს ტელევიზიის პირველ საზოგადოებრივ არხზე გახლდით პროექტის 'ვისწავლოთ ქართული ენა' (თურქებისათვის) ავტორი. გადაცემა გადიოდა ეთერში ყოველკვირას და მას ბევრი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. თურქეთის ქართულმა დიასპორამ მოითხოვა ჩემი პროექტის ინტერნეტის ვებ-გვერდზე განთავსება, რაზეც როგორც მე, ასევე ტელევიზიამ, თანხმობა განვაცხადეთ.

ნ.კაჭარავა **თარიღი: 4. 07.2017**